საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
GEORGIAN STATE ELECTROSYSTEM
ბრძანება

ქ. თბილისი

29.04. 2022 წ. # 28

სს „სსე“-ს ექსპლუატაციის დეპარტამენტისათვის, ტეფლონის ფილტრების შესყიდვის თაობაზე

ექსპლუატაციის დეპარტამენტის 06.04.2022 N4662 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, მოთხოვნილ იქნა ტეფლონის ფილტრებზე (50 ცალი) (CPV 42900000) ფასების დადგენის მიზნით ბაზრის კვლევის ჩატარება. გამომდინარე იქიდან, რომ უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში, საქონლის სპეციფიკის და კომპანიების მხრიდან დაბალი დაინტერესების გამო, ელექტრონული ტენდერები SPA210001277, SPA210001479 და SPA210001734 არ შედგა, მოცემულ ეტაპზე და არსებული გარემოებების გათვალისწინებით, ალტერნატიულ და რაციონალურ გზად მიჩნეულია მოთხოვნილი საქონლის ონლაინ მაღაზიიდან გამოწერა.

ბაზრის კვლევის და ბიუჯეტირების სამსახურის უფროსის 26/04/2022 წლის №5799 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად, მოთხოვნილი საქონელი მოძიებულ იქნა ინტერნეტ მაღაზიაში www.amazon.com. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება - 225 აშშ დოლარი (დღგ-ს და ტრანსპორტირების ღირებულების გარეშე).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3^1 პუნქტის ა) ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის 1^1 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. სს „სსე“-ს ექსპლუატაციის დეპარტამენტისათვის, 50 ცალი ტეფლონის ფილტრის შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3^1 პუნქტის ა) ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის 1^1 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის საფუძველზე.
2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შესყიდვების დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება. აღნიშნული შესყიდვა განხორციელდეს დირექტორთა საბჭოს წევრის/დირექტორის ლოჯისტიკისა და შესყიდვების საკითხებში დავით ვარდიაშვილის სამსახურებრივი ბიზნეს ბარათის საშუალებით. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 225 აშშ დოლარი (დღგ-ს და ტრანსპორტირების ღირებულების გარეშე).
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს დირექტორთა საბჭოს წევრს/დირექტორს ლოჯისტიკისა და შესყიდვების საკითხებში დ. ვარდიაშვილს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გიგინეიშვილი _____
გენერალური დირექტორი

JSC Georgian State Electrosystem

Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2022.04.29 14:59:19 +04'00'